

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 ოქტომბრის №01-06/14 მორიგი
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - „მოქალაქეთა ხელსაყრელი მობილობის უზრუნველყოფა ქედის მუნიციპალიტეტში“ განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის III კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2021 წლის -- ოქტომბერი
დაბა ქედა**

**ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - „მოქალაქეთა ხელსაყრელი
მობილობის უზრუნველყოფა ქედის მუნიციპალიტეტში“ განხილვის შედეგების შესახებ
ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე**

2021 წლის 27 ივლისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული იქნა მოქალაქე მარია ბარამიძის (პ/ნ 61008016910) მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიცია რომლებიც შეეხებოდა მოქალაქეთა ხელსაყრელი მობილობის უზრუნველყოფას ქედის მუნიციპალიტეტში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ემუხლის 11-ე პუნქტისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 117-ე მუხლის 11-ე პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 აგვისტოს №01-07/11 ბიუროს სხდომის უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

პეტიცია განხილული იქნა მერის მიერ და შედეგების შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნა საკრებულოსათვის.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული მოქალაქე მარია ბარამიძის (პ/ნ 61008016910) მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - „მოქალაქეთა ხელსაყრელი მობილობის უზრუნველყოფა ქედის მუნიციპალიტეტში“ განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

პეტიცია ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის სოფლებიდან დაბა ქედაში და პირიქით მგზავრთა სამარშრუტო ტრანსპორტით მომსახურებას. პეტიციაში დასმული საკითხის შესაბამისად საჭიროა მგზავრთა გადასაცემად 43 მარშრუტზე არანაკლებ 25 მიკროავტობუსით მომსახურება. შესაბამისი ტრანსპორტის შეძენა მუნიციპალიტეტს დაუჯდება ბიუჯეტიდან საშუალოდ 1,5 მლნ ლარი, რაც ამ ეტაპისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით ვერ დაფინანსდება დღევანდელი შემოსავლების გათვალისწინებით. ასევე, სოფლებიდან მგზავრთა ნაკადის რაოდენობა ვერ დაფარავს ავტომანქანების ექსპლოატაციის ხარჯებს და საჭირო გახდება სისტემატიურად პროგრამის სუბსიდირება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ვინაიდან პეტიციაში დასმული საკითხი აქტუალურია და გასათვალისწინებელია იმ მგზავრთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რომლებიც მგზავრობენ სოფლებიდან დაბის მიმართულებით, შესაძლებელი იქნება საწყის ეტაპზე მოხდეს ბიუჯეტიდან შესაბამისი შესყიდვის განხორციელება პროგრამულად, კერძოდ: საწყის ეტაპზე შერჩეული უნდა იქნას რამოდენიმე სოფელი, სადაც მგზავრთა რაოდენობა შედარებით მაღალია სამუშაო დღეებში. დაქირავებული ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანა შეიძლება მოხდეს სოფლებიდან ცენტრალურ გზამდე, რომლის ხარჯები დაიფარება პროგრამიდან ისე როგორც, ეს ხდება სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების დროს და ხარჯები იქნება მიზერული, რისი დაფინანსებაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესაძლებელი იქნება.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2021 წლის -- ოქტომბერი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის
2021 წლის III კვარტლის შესრულების შესახებ
ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის III კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის III კვარტლის შესრულების შესახებ

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 379 542 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის III კვარტლის მდგომარეობით მიღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 2 368 185.28 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 774 676.13 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 6 359 238.99 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 103 386.23 ლარი, ქონების გადასახადი 255 852.76 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 395 861.26 ლარი, მათ შორის: პროცენტები 89 643.18 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 33 995.51 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი და გადასახადები 10 587.97 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 14 380.31 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 24 074.93 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 223 179.36 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან 31 516 ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2021 წლის III კვარტლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13 296 087 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8 960 788 ლარი.

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2 590 382 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 761 288 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 438 040 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 411 318 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 572 240 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 135 206 ლარი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის სამსახურის 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 53 300 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 42 057 ლარი.

მონაწილეობითი ბიუჯეტი 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 391 000 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 83 832 ლარი

მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 86 930 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 68 776 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 45 000 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 099 ლარი;

II. ინფრასტრუქტურის და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 459 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 121 608 ლარი, საიდანაც

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 585 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 452 473 ლარი;

სოფელ აქუცის ქვედა უბანში მისასვლელ გზაზე მდინარე აჭარის წყალზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 429 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 392 372 ლარი,

დაბა ქედაში აბუსერიძის ქუჩა #23-ის მიმდებარედ მისასვლელი გზის რემონტი 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 228 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 223 801 ლარი,

მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება 2021 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 999,89 ლარი,

დაბა ქედაში გოგებაშვილის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩის ჩასასვლელის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 59 000 ლარი; ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47 964 ლარი,

ბურღვა აფეთქება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 000 ლარი,

დაბა ქედა, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი,

დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 100 000 ლარი,

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 716 040 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 512 250 ლარი, მათ შორის:

ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კოკოტაურში ახალი წყლის სისტემის მშენებლობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 106 200 ლარი; ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 77 535 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ დანდალოში ოტოლაძეების უბანში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 56 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 53 739 ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ დანდალოში ბაგა-ბადის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 21 250 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 519 ლარი,

სს აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შეტანა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 400 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ პენწმანში არსებული სარწყავი არხის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 795 ლარი,

ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კვაშტაში წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 54 800 ლარი,

სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შექმნა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 100 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 90 931 ლარი,

სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მოწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8 500 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის სისტემის მშენებლობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 42 100 ლარი,

შპს ქედის წყალკანალი 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 254 690 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 245 231 ლარი;

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 645 930 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 814 786 ლარი, მათ შორის:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 26 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 297 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 702 ლარი,

26 მაისის ქ. N2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი,

სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 200 000 ლარი,

სოფელ გარე ტყეში სოფლის სახლის მშენებლობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი,

სოფელ კოლოტაურში სოფლის სახლის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი,

დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 450 000 ლარი; ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 323 986 ლარი,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 582 530 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 355 759 ლარი,

დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა_2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 146 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 122 043,

ცხმორისის სასაფლაოს შემოღობვა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი,

ზვარის ადმინისტრაციული ერთეულში შენობის მიმდებარეს პარკის მშენებლობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60 000 ლარი,

სოფელ წონიარისის კეთილმოწყობა (ბილიკის და კიბის მოწყობა) 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7 000 ლარი,

მუნიციპალური განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯების 2021 წლის III კვარტლის

დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 143 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 886 ლარი, მათ შორის:

ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 138 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 886 ლარი,

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 435 ლარი, მათ შორის:

აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 000 ლარი,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 435 ლარი,

არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 11 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 300 ლარი.

შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 160 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 139 292 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 450 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 449 994 ლარი,

III. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და ნარჩენების გატანა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 716 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 498 550 ლარი, მათ შორის:

შპს ქედის კომუნალურსერვისი 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 696 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 479 030 ლარი,

ნაგვის შემგროვებელი კონტეინერების შეძენა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 520 ლარი,

IV. განათლება

განათლების სფეროს 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 338 750 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 183 337 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 338 750 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 183 337 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის ზაგა-ზაღების გაერთიანების 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 178 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 089 580 ლარი,

ქედის N1 ზაგა-ზაღის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 160 650 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 93 757 ლარი,

V. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 742 875 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 420 539 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 941 925 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 706 011 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 311 335 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 284 395 ლარი;

სპორტული ღონისძიების მხარდაჭერა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 35 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 560 ლარი;

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 75 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 70 514 ლარი;

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 57 405 ლარი;

დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნის მოწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 74 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 71 917 ლარი;

სოფელ წონიარისში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 141 790 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 138 742 ლარი,

სოფელ გულეებში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 78 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25 017 ლარი,

სოფელ ძენწმანში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 85 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25 885 ლარი,

სოფელ ცხემნაში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22 577 ლარი,

სოფელ ვაიოში სპორტული მოედნის მიმდებარედ სპორტული ატრაქციონის მოწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი,

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 712 950 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 674 482 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 509 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 503 727 ლარი;

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 93 950 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 87 550 ლარი;

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 63 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 53 128 ლარი;

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 46 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 30 076 ლარი;

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 426 ლარი;

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 890 ლარი;

სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 70 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 35 728 ლარი.

VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 313 511 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 033 525 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 730 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 610 705 ლარი, საიდანაც

ამბულატორიული მომსახურება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 153 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 113 700 ლარი;

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 117 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 90 804 ლარი;

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 66 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 56 800 ლარი;

სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი;

ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 45 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 42 123 ლარი;

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 320 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 307 278 ლარი;

სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი,

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 000 ლარი,

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 582 811 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 422 820 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 18 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16 375 ლარი;

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 31 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23 661 ლარი;

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 14 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8 240 ლარი;

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 78 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 64 800 ლარი;

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2021 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 27 600 ლარი;

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8 320 ლარი;

სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14 336 ლარი;

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 100 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 96 996 ლარი,

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად ფინანსური 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 98 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 712 ლარი,

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 27 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25 300 ლარი;

მარტოხელა პენსიონერებისათვის სასურსათო პროდუქტის შეძენა 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 14 500 ლარი,

საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 000 ლარი.

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი) 2021 წლის III კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 120 111 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 111 481 ლარი.